2013 წლის 8 მაისი/May 8, 2023

ღია წერილი ევროპას/Open Letter to Europe

ევროპარლამენტის პრეზიდენტს ქალბატონ რობერტა მეცოლას

ევროპული საბჭოს პრეზიდენტს ბატონ შარლ მიშელს

ევროკომისიის პრეზიდენტს ქალბატონ ურსულა ფონ დერ ლაიენს

ჩვენი სტუდენტების ნათელი მომავლის მხარდასაჭერად, ჩვენ, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ლექტორები, მხარს ვუჭერთ საქართველოს გაწევრებას ევროკავშირში. ამავდროულად, გვსურს მკაფიოდ აღვნიშნოთ, რომ კანდიდატის სტატუსის ვერ მიღება გააუარესებს დემოკრატიულ მდგომარეობას საქართველოში, ზეგავლენას მოახდენს სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე და დაგვტოვებს მარტო, შიშველი ხელების ამარა, რუსული იმპერიალისტური ძალების წინააღმდეგ. ჩვენი სურვილი, რომ გავხდეთ ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, არ გაჩენილა გუშინ. ეს იყო ჩვენი წინაპრების ხანგრძლივი, შორსმიმავალ პერსპექტივაზე ორიენტირებული ისტორიული არჩევანი, რომელმაც უნდა მოუტანოს საქართველოს ევროკავშირის წევრობა.

უკანასკნელი 30 წელი გამორჩეული იყო დამოუკიდებელი, ევროპული, სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში არსებული მიღწევებით და წარუმატებლობით. 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელშიც მონაწილეობა ამომრჩეველთა 90.6%-მა მიიღო, მათმა 99%-ზე მეტმა კი, მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. 1999 წელს, საქართველო გახდა ევროპის საბჭოს წევრი. „მე ვარ ქართველი და მაშასადამე მე ვარ ევროპელი“ - ეს ის ცნობილი სიტყვებია საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ რომ წარმოთქვა ევროპის საბჭოს წინაშე 1999 წელს. 2008 წელს საქართველოში ჩატარდა პლებისციტი, სადაც ამომრჩეველთა 77%-მა მხარი დაუჭირა საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო) გაწევრებას. ქართული შეიარაღებული ძალები ნატოსა და ევროპელ მოკავშირეებთან ერთად ჩართული იყვნენ მხარდამჭერ მისიებში ავღანეთში, ერაყში, კოსოვოსა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. საქართველო არის ევროპის გაფართოების პოლიტიკის, მათ შორის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (European Neighborhood Policy) და აღმოსავლეთ პარტნიორობის (Eastern Partnership) აქტიური მონაწილე; საქართველო გახდა ევროკავშირის ასოცირებული წევრი, დაამყარა უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან და მოაღწია დღევანდელ დღემდე, როდესაც რუსეთის მხრიდან უკრაინაში უპრეცედენტო და სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ევროკავშირის გაფართოების საკითხი აღმოსავლეთით, სადაც მდებარეობს უძველესი ევროპის საფუძვლები.

მრავალი საუკუნის განმავლობაში, მოყოლებული ქრისტეს შობამდე 69-ე წლიდან, როდესაც საქართველო (იბერია) გამოცხადდა როგორც რომაელი ხალხის მეგობარი და

მოკავშირე სახელმწიფო, ჩვენ წარმოვადგენდით ევროპული თავისუფლების დამცველ, შეუვალ, აღმოსავლეთის ბასტიონს.
XX საუკუნეში საქართველომ გამოიარა ბევრი საზარელი ომი, რომელმაც დაჩრდილა და ჩააბნელა ხსოვნა ჩვენს წარსულზე, წაშალა ევროპული მეხსიერება მაგრამ ვერ შეძლო ჩაეკლა ქართველების დამოუკიდებლობის სურვილი. მძიმე რეპრესიების ფასად, რუსები ცდილობდნენ, რომ წაეშალათ ჩვენი სურვილი გავმხდარიყავით თავისუფალი და სტაბილური საზოგადოება ნათელი სოციალური და ეკონომიკური მომავლით.

1991 წლის რეფერენდუმი დაფუძნებულია 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე, როდესაც საქართველომ შეძლო პოლიტიკური, სოციალური და საგანმანათლებლო რეფორმების გატარება, მიიღო კონსტიტუცია, ჩაატარა არჩევნები და ებრძოდა საბჭოთა რუსეთს დამოუკიდებლობის დასაცავად. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა არის ქრისტიანი, თუმცა პირველი მუსლიმი ქალი ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოში, სწორედ საქართველოში იქნა არჩეული 1919 წელს. 1921 წლის თებერვალში, როდესაც რუსეთი თავს დაესხა საქართველოს, ივანე ჯავახიშვილმა, ცნობილმა მეცნიერმა და თბილისის უნივერსიტეტის (ამჟამად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) რექტორმა, მიმართა სტუდენტებს: „შვილებო, ჩემი მოვალეობაა თქვენ წიგნისა და კალმისკენ მოგიწოდოთ, მაგრამ ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტი, როცა საჭიროა ყველაფერი განზე გადადო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო. და აი, მე დღეს თქვენ იარაღისკენ მოგიწოდებთ!“

დღეს ჩვენ ვართ დამოუკიდებელი მაგრამ იქამდე, სანამ არ გავხდებით ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, ჩვენი დამოუკიდებლობა მყიფეა. საქართველოს სტუდენტები, რომლებიც თავისუფალნი, ენერგიულნი, ნათელი გონების, მრავალენოვანი და საზოგადოებრივად აქტიურნი არიან, იმსახურებენ განჭვრეტად მომავალს, რომელიც შეიძლება მოპოვებულ იქნეს მხოლოდ ევროკავშირის წევრობით.

1991 წლიდან დღემდე საქართველოსა და რუსეთს რამდენიმე ომი ჰქონდათ. რუსებმა განახორციელეს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა და განაგრძობენ საოკუპაციო ხაზის გადმოწევას ახალი მიწების მიტაცების მიზნით. 2008 წელს, ატოს მხრიდან საქართველოსთვის წევრობის სამოქმედო გეგმის (MAP) მიღებაზე უარის შემდეგ, რუსეთმა განახორციელა სამხედრო ინტერვენცია საქართველოში და მოახდინა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია.

სამწუხაროდ, გასულ წელს საქართველომ ვერ მოახერხა მოეპოვებინა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, რამაც მნიშვნელოვნად გააუარესა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება და სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობა. ხელისუფლებამ კი, დღემდე არ გამოავლინა საკმარისი ძალისხმევა ევროკომისიის მიერ მოცემული რეკომენდაციების სრულად შესასრულებლად.

მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად თქვენი სამართლიანი რეკომენდაციებისა და კრიტიკისა, ჩვენ გულწრფელად გთხოვთ, რომ მხარი დაუჭიროთ საქართველოს

გაწევრებას ევროკავშირში! ევროკავშირში გაწევრება ხელს შეგვიწყობს ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებაში, დეოკუპაციის განხორციელებასა და რუსეთისგან მომდინარე სამხედრო აგრესიის საფრთხეების თავიდან აცილებაში. ჩვენ გვექნება შესაძლებლობა დავდგეთ ჩვენი მტრების წინაშე გამართულად ფუნქციონირებადი დემოკრატიული ინსტიტუტებით, თავისუფალი სასამართლოთი და პლურალისტური გარემოთი. ევროკავშირში წევრობის გარეშე, ჩვენ ვრჩებით შიშველი ხელებით რუსეთის პირისპირ, მოკავშირეების გარეშე, რაც მნიშვნელოვნად ზრდის რუსეთის მხრიდან სამხედრო შემოჭრის რისკებს, და თუ ეს მოხდა, ჩვენ კვლავ მოგვიწევს, ჩვენი წინაპრების მსგავსად, ჩვენი სტუდენტებისთვის თხოვნა, რომ სამშობლოს მტრებს იარაღით ხელში დახვდნენ!

მხარი დაუჭირეთ საქართველოს! მხარი დაუჭირეთ ევროპას!

ხელმოწერილია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორების მიერ

President of the European Parliament, Madam Roberta Metsola

President of the European Council, Mr. Charles Michel

President of the European Commission, Madam Ursula von der Leyen

In order to build a brighter future for our students, we, the lecturers of the higher educational institutions of Georgia, express our deepest desire and willingness in support of Georgia's accession to the EU. Further, we assert our fear that failure to grant us the status of Candidate Member Country will further worsen the democratic conditions in Georgia, affect the functioning of state institutions and will leave us alone and empty handed before the Imperialist forces of Russia. Our aspiration to the EU did not start from scratch. It was a steady, long standing and historical choice of our ancestors which should result in Georgia becoming a member of the EU.

Last 30 years were marked with gains and losses in the process of building an independent European state. On March 31, 1991 the referendum was held in Georgia. Based on the 90.6% of the voter turnout, more than 99% of the voters supported the restoration of independence. In 1999, Georgia became a member of the European Council. "I am Georgian and therefore I am European" are the famous words spoken by the late Prime Minister of Georgia, Zurab Zhvania, in front of the Council of Europe in 1999. In 2008 plebiscite was held where 77% of the voters supported Georgia's accession to North Atlantic Treaty Organization (NATO). Georgian armed forces together with NATO and EU allies were involved in support missions on the territory of Afghanistan, Iraq, Kosovo and Central African Republic. Georgia continued to take part in all enlargements of the EU including European Neighborhood Policy and Eastern Partnership; became Associated Member of the EU, established visa-free regime with the EU countries and came to this day when Russia's unprecedented full-scale invasion of Ukraine initiated the new era of the EU's extension in the East where roots of the oldest Europe lie.

Starting from 69 B.C. when Georgia (back then as Iberia) was declared as the Friend and Ally of the Roman People, we remained Europe's formidable Eastern bastion of freedom for many centuries.

The 20th century was marked with many terrible wars in Georgia which foreshadowed and darkened our past, wiped out European memories and never fully subjugated the desire for independence. With harsh repressions, Russians tried to eliminate our willingness to become a free and stabilised society with an aspiring social and economic future.

The referendum of 1991, is based on the Act of Declaration of Independence of Georgia of 26 May 1918 when Georgia managed to implement political, social and educational reforms, adopted the Constitution, held elections and fought against Soviet Russia to defend its independence. It should be highlighted that despite being a predominantly Christian nation, the first democratically elected Muslim woman in the local legislative body was from Georgia in 1919. In February 1921 when Russia attacked Georgia, Ivane Javakhishvili, famous scholar and rector of the University of Tbilisi (now Ivane Javakhishvili Tbilisi State University) addressed his students: "Children, my duty is to call you for the books and the pen, but there are moments in the life of a nation when you need to move everything aside and meet the enemy with armed hands. And here today, I am calling you for weapons."

Today we are free but until the day we become members of the EU our freedom is fragile. Students of Georgia who are free, energetic, bright-minded, multilingual and capable individuals, deserve a predictable future which can be only gained by becoming a member of the EU.

From 1991 until now Georgia and Russia had several wars. Russians committed ethnic cleansing of the Georgian population from Abkhazia and Tskhinvali Region and are continuing to move occupational boundaries in the heartland of Georgia. In 2008, after refusal from NATO to grant Georgia Membership Action Plan (MAP), Russia conducted military intervention in Georgia and occupied Abkhazia and Tskhinvali Region.

Unfortunately for us, last year Georgia couldn’t manage to become a candidate country for the EU membership which severely deteriorated the social and economic stability and security of our country; and the Government didn’t do enough to fully implement the recommendations of the European Commission.

Despite everything, despite your fair recommendations and just criticism, we wholeheartedly urge you to support Georgia’s accession to the EU! Becoming a member of the EU will help us to strengthen our security, execute de-occupation peacefully and avoid risks of further military aggression from Russia. We will be able to stand in front of our enemies with fully functioning democratic institutions, free courts and a pluralistic environment. Without membership, we remain barehanded against Russia, alone without allies, which significantly increases risks of Russian attack; and if this happens, we should urge our students again, like our forefathers did before us, to meet enemies of our country with armed hands!

Support Georgia! Support Europe!

Signed by the lecturers of the Higher Educational Institutions of Georgia